№ 14 ყოველდღიური გაზეთი **ჩვენი ცხოვრება**

წელიწადი 1. სამშაბათი 17 ივლისი, 1912

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ [illegible] რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., [illegible] ზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 სათს შემდეგ 4 მან. [illegible] რა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

ფართლეულობის მაღაზია

სავაჭრო სახლი **ა. მ. ვართანოვი და ამხ.**

ვორონცოვის ქუჩა სახლი ჭიჭინაძისა.

იშოვება დიდი ძალი ახალი მოდის ფართლეულობა. ფასები ძლიერ ზომიერია და უვაჭროთ შაბაოობით ნაჭრების იაფი გაყიდვა.

Библиотека

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

**„ჩვენი ცხოვრება“**

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. ძ 10 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაქტორ-გამომცემელი **ა. სულაქველიძე.**

ფულის გამოსაგზანი ადრესი: **Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.**

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

**გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა**

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

1799

**მუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.**

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო“** და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო“** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე** და **ამხანაგობა.**

მისამართი: სუდების ქუჩა, სახლი № 6.

## განცხადებანი

**თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ.**

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; ვასილ ხუცავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის იადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულევთან. 4) ნაძალადევში (ნახალოვკა) მომხმარებელი საზოგადოება „მომავალის“ მაღაზიაში.

**ექიმი ირ. ცეხანოვსკი** ლებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

**თფილისი, ნაძალადევი.**

**ექიმი კბილისა**

ა. (გ) ბ. ღოლიძე გადავიდა **ნაძალადევში** რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში.

**სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას**, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და საღ. 5—7 საათ.

## ჭიათურაში

ჟურნალ-გაზეთების აგენტთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ. **„ჩვენი ცხოვრება“**-ზე. მიიღება აგრეთვე ყოველგვარი განცხადებები, იმავე გაზეთში მოსათავსებლათ. ამასთანავე ზოგიერთ აქაურ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ დროზე გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიში; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოვაქვეყნოთ და თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა, მაშინ მათთვის უფრო შესაფერ სასტიკ ზომასაც მივმართავთ.

**გაზ. ბიუროს აგენტი ჭიათურაში.**

**ფოთში** ჩვეულებრივ მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ჩვენი ცხოვრებაზე“ ბინაზე მიტანის არ გადახდებით, აგრეთვე მიიღება საგაზეთო განცხადებები.

P. S. მოვაგონებთ იმ პირებს, რომლებსაც **სამი და ექვსი** თვის განმავლობაში ბინაზე მიტანილი გაზეთების ფასი არ გადაუხდია, ვთხოვთ 20 ივლისამდ შემოიტანონ.

პატივის ცემით **ს. დ. ორაგველიძე.**

**Курсистка** Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметам, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

**ექიმი მ. მგალობლიშვილი** იღებს ბავშთა, შინაგან და სამებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 1, პოლიცმეისტრის კანცელარიის პირდაპირ.

### ადგილობრივი პრესა.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ შარშან ქალაქის არჩევნების დროს თფილისში გაჩნდა ჯგუფი, რომელიც იწვევდა ყველას, ვინც კი ქართველი იყო, ერთ დროშის ქვეშ და ერთად დარაზმული ქალაქის არჩევნებში მიყავდა. ეს ჯგუფი, რასაკვირველია, თავს ეროვნულ დროშას აფარებდა და მისი სახელით რიხიანათ ფახი-ფუხობდა.

ამ ჯგუფის პოლიტიკური ფიზიონომია ჩვენ მაშინ აშკარა ვყავით და ხაზ-გასმით აღვნიშნეთ, რომ ჯგუფის შექნაში ერთი უმთავრესი მონაწილე იყო „სახალ. გაზეთის“ ჯგუფიც, საიდანაც ბ. ჟორჟაძე ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა მას და გამარჯვებას უსურვებდა. ამ ნიადაგზე მაშინ „სახ. გაზეთმა“ ბევრი მწარე გაკვეთილი მიიღო და აი ახლა სახ. სათათბიროს არჩევნებში უკვე სხვა ჰანგზე დაიწყო მღერა. აი რას სწერენ ახლა ამ ჯგუფზე:

„ეს ჯგუფი უთავბოლოთ დახეტიალობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ლაბირინტში, უგემოდ, უპრინციპოდ, ყოველს მის მოქმედებას აზის ბეჭედი გამოურკვევლობისა და აგრეთა უთავბოლო ხეტიალისა. სამშობლო ნიადაგს მოწყვეტილი, ნაყოფიერ ეროვნულ საქმიანობისთვის მოუმზადებელი, გადაგვარებული და უაზროდ მოხეტიალე ინტელიგენცია ხან რუსულ გაზეთების გამოცემაში ართობს თავს, ხან ახლად გამოჩეკილ „საზოგადო საქმეს“ „კლუბს“, დასტრიალებს თავს ფარვანასავით და ამაში დაეხეტება ეროვნულს საქმიანობას.

უთესი არ არის მათი პოლიტიკური ხასიათი. თუ მოიგონებთ, რა ნაირ გზას დაადგა საქალაქო არჩევნების დროს ჯგუფი, რომელსაც პართენ გოთუა და კომპ. ხელმძღვანელობდა, ნათლად წარმოგიდგებათ მათი ფიზიონომია. „გოლოს კავკაზა“-ს სულის ჩამდგმელთა, ანტონოვისა და ასილიევისა, და ზემოხსენებულ ჯგუფს შორის ისეთი იდილიური კავშირი დამკვიდრდა, ისე ტკბილად შეითვისეს ერთმანეთი, თითქოს ერთსული და ერთხორცნი არიანო.

სათათბიროს არჩევნების წინ ყველა, ვისაც კიდევ შერჩენია დემოკრატიული სული და ვისაც სწამს ძალა ეროვნულ იდეალისა, კატეგორიულათ უნდა გამოეყოს ამ უაზროთ მოხეტიალე ინტელიგენციას და კატეგორიულათვე აგრძნობინოს ამომრჩეველს, რომ ასეთი ელემენტები ხრწნიან საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილის მოვალეობაა, გამოეთიშოს, გამოეყოს ჩვენი საზოგადოების მავნე ელემენტებს, გამოეყოს პოლიტიკურ ავანტიურისტებს.“

ამნაირათ გუშინდელი მეგობრები და შინაურნი დღეს ჭეშმარიტ რუსთა მეგობრები შეიქნენ. ასე იცის ნაციონალისტურმა პოლიტიკამ და ერის ყველა ნაწილების ერთი ეროვნული დროშის ქვეშ თავის მოყრამ. და თუ დღეს „სახ. გაზეთი“ მათ ხელს კრავს და გმობს ასე დაუზოგველათ—ეს [illegible] მოვლენაა და ყოველ ასეთ ნაბიჯს ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ.

### საჭირო განმარტება.

ზოგიერთი ქალაქის გამგეობებმა, რომელთაც კანონით მინდობილი აქვთ საარჩევნო სიების შედგენა (მაგ. ქუთაისისამ) დანიშნეს უკანასკნელი ვადა (12 ივლისი) პენსიონერებისა და ბინის დამქირავებელთაგან განცხადების მისაღებათ, მაგრამ საარჩევნო სიები ამ ვადაზე არ გამოუქვეყნებიათ, ქ. გამგეობა კი საარჩევნო კანონის მე-56 მუხ ძალით ვალდებულია განცხადებები მიიღოს ყოველთვის, სანამ სიებს დაბეჭდავდეს და გამოაქვეყნებდეს. აი რას ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება ამის შესახებ:

**„დაწესებულებები, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენენ, ვალდებულნი არიან მიიღონ განცხადებები ამომრჩევლებისაგან იმ დღემდი, სანამ სიებს ფაქტიურათ გამოაქვეყნებდენ.“**

აქედან, და თვით კანონის ტექსტიდანაც, აშკარათ სჩანს, რომ ქ. გამგეობამ ამრჩევლებისაგან უნდა მიიღოს განცხადება მათი სიაში შეტანის შესახებ მანამ, სანამ სიებს არ გამოაქვეყნებს.

ამიტომ ბინის დამქირავებელმა და პენსიონერებმა უნდა განაგრძონ განცხადებების შეტანა ქალ. გამგეობაში.

## ახალი ამბები.

✦ ქუთაისის მეორე სამოქალაქო „შკოლის მასწავლებელი ა. ჯუღელი გადაიყვანეს მასწავლებლათ ცაგერში; მის ალაგზე ინიშნება მასწავლებელი რაჟდენ კაჭკაჭიშვილი.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორის კანცელარიის გამგე ბ-ი მარკოვი ქუთაისიდან გადაიყვანეს.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“ ამ დღეებში ახალ ბინაზე გადავიდა, იქვე ძველი კანტორის გვერდით ალფონს თუმანოვის ყოფილ შენობაში, ბულვარის პირდაპირ. კანტორა ლამაზათ არის მოწყობილი ჩვენი და უცხო ქვეყნის საუკეთესო მწერლების დიდრონი სურათებით და ქართულ-რუსული წიგნებით. კანტორამ ახალ ბინაზე უკვე განაახლა მიღება სატახტო ჟურნალ-გაზეთების, რომლებიც მას აღარ მოდიოდა, აგერ სამი კვირაა, მოსკოველ არასაიმედო კონტრ-აგენტების წყალობით. მათ ამ რამდენიმე თვის წინათ თავიანთი საagენტო უსახსრობის გამო მოუსპიათ, ლიკვიდაცია მოუხდენიათ და პროვინციის აგენტებთან ავანსების, ანგარიშების გაუსწორებლათ გადაუციათ თავისი ფირმა („ცენტრალური ექსპედიცია“) კერძო პირისათვის. დღეს კი აგენტები (და სხვათა შორის „იმერეთიც“) მოსკოვში მიწერ მოწერით დაეძებენ პირვანდელ პატრონს „ექსპედიციისას“ ანგარიშების გასასწორებლათ, მარა სულ ტყვილა, იმათი მონახვა არ იქნა და აგენტები კი ნივთიერათ ისჯებიან.. სამი კვირის მოსკოვში მიწერ-მოწერის შემდეგ კანტორა „იმერეთი“ ხელახლა შეურიგდა მოსკოვის ექსპედიციის ახალ კონტრ-აგენტს და დღეიდან უკვე დაიწყო მიღება სატახტო გაზეთებისა. კანტორიდან იყიდება ქუთაისში დღიურათ: „Рѣчь“ 15, „Русское Слово“ 80, „Звѣзда“ 50, „Правда“ 40, „Русскія Вѣдомости“ 14, „Газета-Копейка 160, „Новое Время“ 13, „Современное Слово“ 5, „Биржевыя Вѣдомости“ 5, „Утро Россіи“ 5, „Огонекъ“ 160, „За семь дней“ 20, „Синій Журналъ“ 80, „Женское Дѣло“ 40, „Солнце Россіи“ 80, „Журналъ для хозяев“ 30, „Всемірная Панорама“ 180, „Тары-бары“ 100, „Листокъ-Копейка“ 100, „Журналъ-Копейка“ 200, „Искра“ 10 და სხ.

✦ **თავის მოწამვლა.** ქუთაისში 14 ივლისს სასტუმრო „ჩრდილოეთის ნომრებში“ თავი მოიწამლა ახალგაზდა ქალმა. მოწამლული საავათმყოფოში გაგზავნეს. მიზეზი თავის მოწამვლის და ვინაობა მოწამლულის ჯერხანათ გამოურკვეველია.

✦ გაზეთ „Тифлисскій листокъ“-ის ცნობით 1 ივლისს უმაღლესი წესით დამტკიცებული იქნა ამხანაგობა პაებით „ს. მ. **კირაკოზოვის ძ ბ. გ. ოგანოვის**“ სამანუფაქტურო ვაჭრობს კავკასიაში. კაპიტალი (თანხით) 1,200,000 მანეთი.

✦ ამ დღეებში ქ. მოსკოვში თავმჯდომარებით ი. ი. ვავილოვისა, შედგა კრება ახალი ამხანაგობისა. არჩეული იქნენ: ს. მ. კირაკოზოვი, ძმ. ი. ბ. და გ. ბ. ოგანოვები და ი. ი. ვავილოვი. სარევიზიო კომისიის წევრებათ: ა. ი. ლეონტიევი, ა. ო. კრიჟანოვსკი, მ. ა. კუზმანი, გ. ზ. თამამშევი და ა. ს. კირაკოზოვი.

✦ **მასწავლებლების გაჭირვება.** როგორც ჩვენი გაზეთების მკითხველებმა იციან—ქუთაისში სამრევლო შკოლების მასწავლებელთათვის გალობის კურსებია მოწყობილი. ამ კურსებზე ზოგიერთი მასწავლებლები იმ იმედით წამოსულან, რომ მათ დაპირებიან კურსებზე გაწეული ხარჯების მიცემას. დაპირება მასწავლებელთათვის არ აუსრულებიათ. დაპირების აუსრულებლობის გამო მასწავლებლები უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან.

✦ ქუთაისში დაიბეჭდა და უკვე გასაყიდათ მაღაზიებს დაურიგდა ს. რობაქიძის შედგენილი წიგნი, სახელმძღვანელო **„სამშობლოს აღწერა“.**

✦ ქუთაისის მაზრის უფროსის განკარგულებით, ქუთაისში ჩამოიყვანეს და საპყრობილეში ჩასვეს ხონის საზოგადოების მამასახლისი აკაკი სიმონიძე.

✦ **სათ. არჩევნები.** ქუთაისის ქალაქის გამგეობას განცხადებების თანახმად მეორე დუმის საარჩევნო სიაში სულ ჩაუტანია ბინის დამქირავებელის ცენზის მქონე 2, და პენსიონერი—2.

**თფილისი**

✦ **სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიებში** 14 ივლისის 2 საათამდი შეტანილ იქნა: რუსთა კურიიდან—1891 კაცი, ხოლო საერთო—1676.

✦ **დუელი.** გუშინ, დილით, ქალაქ გარეთ, ავლაბრისაკენ, დუელი მოხდა თავ. დათა გ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა და პორუჩიკ ბაქრაძის შორის. მოწინააღმდეგეებმა ოცი ნაბიჯის მანძილზე რევოლვერები ესროლეს ერთმანეთს. თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი მარცხენა საფეთქელში მძიმეთ დაიჭრა და საავათმყოფოში წაიყვანეს. დუელი მთავრობის ნებართვით მოხდა. დუელის მიზეზი პირადი წალაპარაკება იყო, რომლის შემდეგაც პორუჩიკმა ბაქრაძემ თავი შეურაცხყოფილად იცნო და თავ. მუხრანსკი დუელში გაიწვია.

## დეპეშები.

პ. ტ. ს.

15 ივლისი.

**რუსეთი.**

**ვიტებსკი.** ხოლერით ავათ გახდა ხუთი; ერთი მოკვდა.

**ეკატერინბურგი.** მემარჯვენე ორგანიზაციები სახელმწიფო დუმის დეპუტატათ ეპისკოპოზ მიტროფანეს ასახელებენ.

**ორენბურგი.** სახელმწიფო დუმის საარჩევნო დებულების გასაცნობათ სამღვდელოებამ გამართა საარჩევნო კრებები ქალაქის ყველა ეკლესიებთან.

**ადესა.** ნავთსადგურის ერთმა მუშამ რევოლვერი ესროლა ექიმს ფრიდერშტეინს, რადგანაც ის მისი ექიმობის კმაყოფილი არ იყო.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს ჟურნალ „თანამედროვე ქვეყნის“ მე-7 ნომერი, რადგანაც აქ მოთავსებულია ლექსი „სახალხო“.

— დააკავეს გაზ. „ნევსკაია ზვეზდას“ მე-17 ნომერი, რომელშიდაც მოთავსებულია სტატია, „ჩინეთის ნაროდნიკობა და დემოკრატია და ჩინეთის რევოლიუციის მნიშვნელობა“, მოთავსებულია აგრეთვე ამავე ნომერში ლექსი: „ორი საპყარი“.

**პიატიგორსკი.** ქალაქის ცენტრში სამმა ყაჩაღმა, რომლებიც ტრამვაის კანტორის გაცარცვას ფიქრობდენ, მოკლა გოროდოვოი. სამივე შეიპყრეს, ერთი მათგანი დაჭრილია.

### უცხოეთი.

**ნიუიორკი.** დასავლეთ ვირგინიის სამთო ოლქში მუშათა არეულობა დაიწყო: მოკლეს ორი პოლიციელი. მთამადნის მუშებმა დაანგრიეს ტელეგრაფიცა და ტელეფონიც. აჯანყებულთა წინამძღოლები აცხადებენ, რომ, თუ მათ წინააღმდეგ ჯარებს გამოგზავნიან, მაშინ ისინი მათ სამხედრო მატარებლებს ააფეთქებენ.

**ბრაილა.** დამტვირთველ მუშებისთვის დღიური ქირის მომატების შემდეგ ნავთსადგურის მუშებმა მუშაობა ისევ დაიწყეს.

**ლონდონი.** გაფიცვის კომიტეტმა მოწოდება გამოსცა, რომლითაც წინადადებას აძლევს მუშებს, რომ შეუდგენ მუშაობას, რადგანაც უკვე ყველა საშვალება იხმარეს, რომ მიეღწიათ სასურველ შედეგისათვის.

### სპარსეთი.

**თავრიზი.** რევოლიუციონერი შუჯანი, რომელიც რუსეთის ჯარზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა, სიკვდილით დასაჯეს.

### აჯანყება ალბანეთში.

**მონასტირი.** ალბანელების წინამძღოლმა ჰასანმა განკარგულება მოახდინა, რომ პრიშტინში მოსული სატელეგრაფო კორესპონდენცია მის საკუთარ ხელს გარეთ არ სწარმოებდეს. ასეთივე განკარგულება მოახდინა ისსამ, ალბანელების მეორე წინამძღოლმა, ახალ ბაზარში. ალბანეთის სრული მფლობელები ახლა ეს წინამძღოლები არიან.

# სახელმწიფო დუმის ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუ დაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებში.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში“ (12-ტ **ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე თფილისში** და სხ.) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანებენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წლიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ახლა შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხდება 12 კვირიკობისთვის შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი და ამისგამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცთილობდენ, ეს დრო არ გაუშვან ხელიდან განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღით დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა:

ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

**განცხადებების დროს თან უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა რომ ერთი წლის განმავლობაში ბინა გაქვთ დაქირავებული.**

ასეთ მოწმობათ გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრაქტები, თუ მისი შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა და ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კანტრაქტები ძვირათ იკვრება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხდება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარედგინოს **ან ბინის წიგნი**, თუ ასეთი მოიპოვება, **ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა**, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა, დასახელებულ დოკუმენტების შემოწმებას შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მიერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ახლავე შეუდგენ თადარიგს.

როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

### გლეხთა არჩევნები.

2

3 ივლისის საარჩევნო კანონით გლეხებს შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ **მხოლოდ თავის წოდებრივ** (გლეხთა) **კურიაში.** სხვა საარჩევნო კურიებში (მემამულეებში, ქალაქის ამომრჩევლებში) მათ შესაფერი ცენზიც რომ ქონდეთ, ხმა მაინც არ აქვთ; ისინი ჩაკეტილი არიან თავის კურიაში. სხვა კატეგორიის ამომრჩევლები (გარდა მუშებისა), როგორც ვიცით, ამ მხრით შეზღუდული არ არიან. მათ თუ რამდენიმე ალაგას, ან რამოდენიმე კატეგორიის ამომრჩევლებში აქვთ ცენზი, შეუძლიათ ხმა იქ მისცენ, სადაც ამას საჭიროთ დაინახავენ.

გლეხთა კურიაში ხმა აქვს: ვისაც 25 წელიწადი შეუსრულდა, გლეხთა წოდებას ეკუთვნის, სოფლის ყრილობაში მონაწილეობას იღებს და ამასთან ვინც ერთი წელიწადი მაინც სოფელში ცხოვრობდა და პირადათ მეურნეობას ეწეოდა. მაშასადამე ის გლეხები, რომლებიც სოფლის გარეთ ცხოვრობენ და მეურნეობას არ ეწევიან, გლეხთა კურიაში საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან, თუნდაც გლეხთა საზოგადოების წევრათაც ითვლებოდენ.

გლეხთა ამომრჩევლებისათვის სიები არ არსებობს.

გლეხთა არჩევნები ასე ხდება: დანიშნულ დროს მამასახლისის თავმჯდომარეობით დგება სოფლის ყრილობა; **ყოველი ათი ამომრჩეველი ირჩევს თითო რწმუნებულს, ხოლო შემდეგ მთელი საზოგადოების რწმუნებულები თავისი მხრით ირჩევენ ორ რწმუნებულს**, რომელნიც **ესწრებიან სამაზრო კრებას**, სადაც მონაწილეობას იღებენ **მთელი მაზრის საზოგადოებათა რწმუნებულები**, და **ირჩევენ გლეხთა „ვიბორშჩიკებს“**.

„ვიბორშჩიკი“ უსათუოთ რწმუნებულთა რიცხვიდან უნდა იქნას არჩეული.

რწმუნებულებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, რუსული ენა უნდა იცოდენ.

იმ პირთ, რომლებიც გლეხთა წოდებიდან გამოეწერენ, მარა თავისი ნადელი მაინც დარჩათ, ხმა არ აქვთ სოფლის არჩევნებში.

ქუთაისისა და თფილისის გუბერნიების ხიზნები მონაწილეობას იღებენ არჩევნებში იმავ წესით და უფლებით, როგორითაც სხვა კატეგორიის გლეხები.

არჩევნების დროს სოფლის ყრილობას თავმჯდომარეობს მამასახლისი, ხოლო სამაზრო კრებას—მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი; სხვა ადმინისტრატიულ პირს კრებაზე დასწრების უფლება არ აქვს და რომ დაესწროს, არჩევნები უკანონოთ ჩაითვლება.

უკანონო არჩევნების გასაჩივრება შეიძლება სამაზრო საარჩევნო კომისიაში.

### პასუხათ ბ. გრ. რობაქიძეს.

ბ. გრ. რობაქიძეს ერთი ბრძნული თვისება აქვს: მიუხედავათ იმისა, რომ ხშირათ აცხადებს, ჩემს ამა თუ იმ ნაწერს დავბეჭდავო, დღემდის არც ერთი მათგანი არ გამოუქვეყნებია ქართველი ერის გასაბედნიერებლათ. სამაგიეროთ თავის ლექციების რეცენზენტებს იგი მუდამ ეკამათება. თუ მოუწონეს ასეთი მიუდგომელი რეცენზია ჯერ არ წამიკითხავსო—იტყვის, ხოლო თუ რაშიმე არ დაეთანხმე, მაშინვე მთელ „ფილოსოფიურ“ არსენალს წამოგიყენებთ წინ.

ასე მოიქცა ჩვენთანაც. თავის წერილის დასაწყისში („კოლხიდა“ № 89) ბ. რობაქიძე ამბობს, რომ ჩვენ მასთან კამათის ღირსი არა ვართ და სხვა ასეთი, მაგრამ კამათს მაინც იწყებს და ვებერთელა ფელეტონით გვიპასუხებს. როგორც მკითხველი თვითონ დარწმუნდება, ჩვენს მოკამათეს არც ისე კარგად აქვს საქმე და ამის მიზეზია, რომ რიხით და ფახიფუხით უნდა ლელოს გატანა.

ჩემს რეცენზიაში მე უმთავრესათ იმ აზრს ვატარებდი, რომ ბ. რობაქიძემ სხვისი აზრები მიითვისა და თავისათ გაასაღა. მან ეს იუკადრისა და გამწყრალი თავისებურათ იმართლებს თავს. გავუსინჯოთ კბილი ამ თავის მართლებას, ვილაპარაკოთ ჯერ „ვეფხისტყაოსანზე“. მე ვამბობდი, რომ [illegible] „ვეფხის ტყაოსნისა“ ნ. მარს აქვს ნაჩვენებიო. ბ. რობაქიძე მეკითხება—მერმე რა, თქვენ რას გულისხმობთ ამ სიტყვებშიო? ე. ი. მე შინაარსი უნდა ჩამედო ჩემს ნათქვამში და რაკი აგრე არ მოვქცეულვარ, თვითონ უნდა შეავსოს ჩემი ნაკლი; გადაუშლია მარის წიგნის 54—55 გვერდი*) ბ მოყავს შემდეგი ციტატა: „ქართველთა სასულიერო პოეზია მხატვრულ სახეობას ბიზანტიისაგან სესხულობდა, ხოლო საერო პოეზია სამაჰმადიანო ირანისაგან; ეს ორი დასაწყისი ერთი მეორეს ვერ ეხვეულა; შემდეგ, როცა საშწუხარო დრო დადგა ქართველთათვის, სასულიერო პოეზიის მიტოვება საგრძნობლათ შეითვისეს საერო მგოსნებმაო“ ბ თავის წილ დასძენს —აქ ზოგადი გზაა მარტო ნაჩვენებიო.

მაგრამ ბ. რობაქიძეს გამორჩენია ის გვერდები, სადაც მოთავსებულია შემდეგი თავი: გავლენა წიგნური, ნეოპლატონიური, სპარსული და ბიბლიური. (გვერ. 46—47) თქვენ რომ ეს გვერდები წაგეკითხათ, აი რას ნახავდით იქ: „შეუძლია ცალკე საკითხი შეადგინოს გავლენამ ნეოპლატონიზმისა, რომელიც ფრთა გაშლილი იყო მეათე—მეთორმეტე საუკუნის საქართველოში. ნეოპლატონიურმა მსოფლ-მხედველობამ გააფართოვა ქართველი საზოგადოების გონებრივი ჰორიზონტი.. ზოგიერთი საბუთები გვითითებენ, რომ სიყვარულის ნეოპლატონიურათ გაგებას ცოტათ თუ ბევრათ გავლენა ქონდა საქართველოში ქალისადმი იდეალურ სიყვარულის შემუშავებაზე, როგორც ესა აქვს დახატული შოთა რუსთაველის კალამს. დანამდვილებით შეიძლება იმისი თქმა, რომ ქართულ ნეოპლატონიზმიდან შეუთვისებია ნესტანდარეჯანს თავისი აზრი საიქიოს შესახებ.“ და სხვ.

ბ. რობაქიძევ, თქვენ ეს ადგილი ან არ წაგიკითხავთ, ან მკითხველისათვის დაგიმალავთ; მარა გაგვიწყებიათ, რომ ტყუილს მოკლე ფეხები ასხია. ამ ადგილიდან ნათლათ სჩანს, რომ ნ. მარს თქვენთვის არა თუ საკვლევი გზა უჩვენებია, არამედ ეს გზა ერთგვარათ გაუმიჯნავს, ან მოკლეთ რომ ვსთქვათ, ჩვენ სიტყვებს „ელინისტურ მხარეში“ თქვენთვის შინაარსიც

*) „Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ барсовой кожѣ Шоты изъ устава“

# ფელეტონი

# ძველი და ახალი.

(დასასრული*)

ჩვენ ვამბობთ დღევანდელი რთული საარსებო ბრძოლა მოითხოვს ნაციონალურ საშკოლო სისტემას, სამშობლო ენაზე განათლების მიღებას. და აი, ამ პრინციპის გატარებას მოვითხოვთ ჩვენ ჩვენი დეპუტატებისაგან მეოთხე სათათბიროში. ეს სისტემა უნდა გატარდეს თფილისის მომავალ უნივერსიტეტშიაც, რამდენათაც ტეხნიკური პირობები ნებას მოგვცემს, რასაკვირველია. ხოლო ამ პირობების გამორკვევა უნდა მიენდოს უნივერსიტეტის ნაციონალურ სექციებს, რომელნიც უნდა შედგებოდეს პროფესორების და სტუდენტებისაგან და სწყვეტდენ—რომელი ლექცია რა ენაზე იკითხებოდეს...

ენის კითხვასთან შეკავშირებულია აგრეთვე მართლმსაჯულება. ხალხის მოქალაქობრივი ურთიერთობა მოითხოვს არა მარტო შესაფერ კანონმდებლობას, არამედ ამ კანონმდებლობის ხალხის გასაგებათ გატარებას. რა გინდ კარგი იყოს კანონი, ის მაინც ტვირთია ხალხისათვის, თუ ეს მის სამშობლო ენაზე არ სრულდება. სამოქალაქო კანონები მაინც თავისთავათაც რთულია და მასში გაგნება მხოლოდ ვექილს შეუძლია. მარა ეს ბუნებრივი სირთულე კიდევ უფრო რთულდება ხელოვნურათ, როცა სასამართლო უცხო ენაზე წარმოებს. ვინ იტყვის, ჩვენებური რუსულ მართლმსაჯულებას ხალხის ინტერესი მოითხოვსო? უკეთესი არ არის მოსამართლეს და მომჩივან-მოპასუხეს ერთმანეთის ენა გაეგებოდეს? ეს რომ უკეთესია—ყველამ იცის, იციან თვით მოსამართლეებმაც და მათმა მომავლინებლებმა. და თუ მართლმსაჯულების ამ საფუძველს ღალატობენ—ამის მიზეზი იგივე პოლიტიკანობაა, იგივე ნაციონალისტური მიმართულებაა. ქართული სასამართლო მოითხოვს ქართველ მოსამართლეთ. მაშინ რუსის მოხელეთ რა ეშველებათ? მათი ინტერესია სამოხელეო ასპარეზი ფართე ქონდეთ, რომ თავისუფლათ შეეძლოთ ნავარდობა კამჩატკიდან ვარშავამდი და ფინლიანდიიდან კოლხიდამდი. მათ ერთათ-ერთი ფინლიანდია დარჩათ აულებელი და ის იყო მის წინააღმდეგაც გაილაშქრეს. მესამე დუმის ფინური პოლიტიკა მოხელეების ნაკარნახევია.

გარდა ამისა, ქართული მართლმსაჯულება მოითხოვს ქართულ იურისპრუდენციას, ე. ი. ქართულ იურიდიულ ფაკულტეტს, მაშასადამე, ქართულ გიმნაზიასაც, ერთი სიტყვით, ნაციონალურ სასწავლებლებს. ამიტომ გაიმართა ისე დიდი ბრძოლა დუმაში ადგილობრივი სასამართლოს გარშემო. ჩვენი დეპუტატები თავგამოდებით იცავენ სახალხო სასამართლოს, როგორც ენის, ისე დებულების მხრით. ისინი თხოულობდენ სასამართლოს სრულ დემოკრატიზაციას: მოსამართლის ხალხის მიერ არჩევას და სხვა. ხოლო სასამართლოს დემოკრატიზაცია ძირში სჭრის იმ ხეს, რომელზედაც ზის ბიუროკრატია. ის თავისთავათ ამყარებს სასამართლოს ნაციონალურ ენაზე, რაიცა ფრთას აკვეცს რუს მოხელეთა პარპაშობას. დუმა ყალბზე შედგა კიდევ უფრო გაჯავრდა სახელმწიფო საბჭო და ბოლოს ორივე შეთანხმდენ და დააკანონეს ადგილობრივი სასამართლო რუსულ ენაზე. აქაც ერთი ნაბიჯიც ვერ წავდგით წინ; მეოთხე დუმასაც უნდა მოვსთხოვოთ ის, რასაც მესამეს ვთხოვდით, სახელდობრ: მოსამართლის ხალხის მიერ არჩევა საყოველთაო კენჭის ყრით, ნაფიცი მსაჯულების შემოღება და სამართლის ქმნა მომჩივან-მოპასუხის ენაზე.

ასეთივე უკუღმართობაა დღეს გაბატონებული თვითმართველობის ნიადაგზე ჩვენში ჯერ მხოლოდ ქალაქთა თვითმართველობაა; მოქალაქენი მოწოდებული თვითონ აწარმოვონ თავისი საერთო საქმეები, მარა იმ პირობით, რომ ეს რუსულ ენაზე იყოს. ეს ნიშნავს იმას, რომ ვინც რუსული არ იცის, თვითმართველობაში ადგილი არ აქვს; ე. ი. საზოგადო საქმის სიყვარული, პატრონობა და გაძღოლა დაკავშირებულია უცხო ენის ცოდნასთან. აქაც მხედველობაშია მიღებული არა საქმის ინტერესი, არამედ რუსული ენის. აქ პირდაპირ აიძულებენ მეკენჭეთ აირჩიონ ხმოსნათ და გამგეობის წევრებათ რუსულის მცოდნენი, და რადგანაც ასეთები ცოტაა, ირჩევა წარმოებს ვიწრო წრეში. შეიძლება თქვენ ჩინებულათ იცოდეთ ფრანგული, ინგლისური, გერმანული, თუ რუსული არ იცით—საბჭოში ბაიყუშივით უნდა იჯდეთ. თვითმართველობების სრული დემოკრატიზაციაც ვერ მოგვცემს მართლა სახალხო დაწესებულებას, თუ მის პირობათ რუსული ენის ცოდნა იქნება აღიარებული. ეს იგივე საარჩევნო უფლების შეზღუდვაა. მართალია იზღუდება პასიური უფლება (ასარჩევის), მარა ამასაც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც აქტიურს. რათ მინდა საარჩევნო უფლება მქონდეს, ხოლო ვისაც არჩევას მოვინდომებ—მისი არჩევა არ შემეძლოს. ეს აქტიური უფლების გაუქმებაა. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ სრულ დემოკრატიულ თვითმართველობას, არჩეულს საყოველთაო და თანასწორი კენჭის ყრით. ასეთ თვითმართველობაში ოფიციალურ საზმარ ენათ უნდა იყოს ადგილობრივი ენა და თუ მოხვდებიან ამ ენის უცოდინარი ხმოსნები—მათთვის უნდა იყოს შემოღებული თარგმნის სისტემა. საქმე არ ფუჭდება იმით, რომ შვეიცარიის ფედერალურ პალატაში სამი ენაა შემოღებული. ეს რასაკვირველია უხერხულობაა, მარა მას მიმართვენ ხოლმე უფრო მეტი უხერხულობის—საარჩევნო უფლების ენით შეზღუდვის—ასაცილებლათ.

თავისთავათ ცხადია, რომ უკეთესი იქნება ასეთი მრავალ-ენიანობა თავიდან ავიცილოთ ეს კი რამდენიმეთ შესაძლებელია ადგილობრივ თვითმართველობებში და ამას კიდევაც ახორციელებენ მრავალ ტომიან ავსტრიაში. ამისათვის საჭიროა საერობო და საქალაქო ერთეულები რაც შეიძლება ერთ ერის ხალხს შეიცავდეს. ჩეხიაში მაგალითათ ნემცების სოფლები ერთ ერთეულში შედიან, ხოლო ჩეხელთა სოფლები მეორეში. ამ სისტემის განხორციელება ადვილია დაბალ ერთეულებში, ძნელია მაღალში. მაგალითათ რამოდენიმე ერთი ერით დასახლებული სოფელი შევა ერთ კუთხის ერობაში. ასეთი სოფლების გამოკრება ადვილია თვით გუბერნიაშიაც, სადაც სომხის და თათრების სოფლები ისე არეულია, სამაგიეროთ აქ საბაზრო და საგუბერნიო ერობის ამ გზით შედგენა ძნელია. ამ შემთხვევაში ამ დიდ ერთეულებში ოფიციალურ ენათ იქნება სომხური და თათრული მრავალ ენიანობა აუცილებელი იქნება თფილისის და ბაქოს თვითმართველობაშიაც. საზოგადოთ, თვითმართველობა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის, უნდა შენდებოდეს ისე რომ არც ერთი ენა იყოს სავალდებულო და არც მრავალ-ენიანობა გამეფებული პირველს ისევ მეორეს ვარჩევთ, ვინაიდან პირველი ჩაგრავს ხალხის ინტერესებს, ხოლო მეორე უბრალო ტეხნიკური უხერხულობაა ერთ პატარა დარბაზში. ეს ტეხნიკა ახლა ისე გაადვილებულია, მოხსენებების და ანგარიშების წინდაწინ დაბეჭდვით, რომ თვით ინტერნაციონალური კონგრესებიც კი რამოდენიმე დღეში სწყვეტენ მეტათ რთულ კითხვებს ამ კითხვების გადაწყვეტა უფრო გაძნელდებოდა იმ შემთხვევაში, რომ კონგრესის წევრობისათვის ერთი რომელიმე ენის ცოდნა იყოს სავალდებულო. მაშინ მრავალი მსწავლული ვერ დაესწრებოდა კონგრესს და მით მისი მეცნიერული ფასიც დაიწევდა.

ვიმეორებ, ყველა სფერაში ადამიანის ბუნებრივი ენაა დედა-ენა. ყოველნაირი ძალდატანება ამ მხრით სჩაგრავს არა მარტო დედა ენას, არამედ ფართე მასის მრავალნაირ ინტერესებს. თუკი მართალია ის, რომ ხალხის თანამედროვე სამოქალაქო განვითარება აუცილებლათ მოითხოვს მისი ენის განვითარებასაც, მართალია ისიც, რომ ამ ენის დევნა აფერხებს სამოქალაქო განვითარებას. თვითმართველობა მოქალაქეობის პირდაპირი სარბიელია, მისი დედა-ენაზე მოწყობა ხალხის პირდაპირი ინტერესია. და თუ ამას დღეს არ ვხედავთ და არც ვგრძნობთ—ამის მიზეზია ჩვენი მოუმწიფლობა. ჩვენ ჯერ კიდევ ვიმყოფებით იმ საფეხურზე, როცა ადამიანი ფიქრობს—საერთო არა არის რა ჩემს პირად საქმეებსა და თვითმართველობის ან პარლამენტის საქმეებს შორისო. ის ვერ ხე-

*) იხ. „ჩვენი ცხოვრება“ № 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პაიებით ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. თფილისში, გიორგიევსკში, ანდოჲში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и К°
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, и других тканей съ модной каймой.

ჩაუდევს, ერთგვარი განმარტება მიუცია. თქვენ კი ყოველივე ეს ფრაზეოლოგიით შეაზავეთ, სხვა სიტყვებში გამოსთქვით და ამის გამო მთელი თეორია თავისათ გამოიტანეთ.

ახლა ,,ვეფხის ტყაოსნის'' ორიგინალობის შესახებ. გავსინჯოთ აქ მაინც თუა ჩვენი ლექტორი მართალი ჩვენ ვსწერდით, რომ ამ საკითხის შესახებაც ბ. რობაქიძემ ა. ხახანაშვილის აზრი თავისათ გაასაღათქო; რობაქიძე აქაც ყალყზე დგება; ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს. ლექციაში თქვენა ბრძანეთ, რომ ,,ვეფხის ტყაოსანი'' ნ. მარს სპარსულიდან ნათარგმნათ მიაჩნია და ეს დიდი შეცდომა და უვიცობააო. მისი აზრის გასაბათილებლათ თქვენ სთქვით, რომ რუსთაველმა მხატვრულ ნაწარმოებათ აქცია ხალხის თქმულებანი მსგავსათ გიოტესა, შექსპირისა და სხვ. ეხლა კი ამბობთ: მე ვეხები უფრო ღრმა საკითხს: იცვლება თუ არა პიროვნულ შემოქმედებაში თვითონ ნასესხი ამბავი, — და ამ საკითხს, წინააღმდეგ ხახანაშვილისა, დადებითად ვსჭრიო. აქ ჩვეულებისამებრ ჩვენი ენაწყლიანი ლექტორი სიტყვათა მახეს აგებს, მაგრამ ვაი რომ თვითონ იხლართება შიგ! დაუკვირდით კარგათ! ლექციაში მან მარის აზრს —,,ვეფხის ტყაოსანი'' ნათარგმნიაო, წინააღმდეგი მოსაზრება დაუპირდაპირა: არაა ნათარგმნი, არამედ მასში ქართველი ერის თქმულებათა მხატვრულათ გარდაქმნააო. და ამით გაიმეორა ხახანაშვილის აზრი, მაგრამ ისე, რომ ხახანაშვილი ერთხელაც არ უხსენებია. ეხლა კი თავის გასამართლებლათ გაიძახის: მე უმთავრესათ თქმულებათა გარდაქმნაზე ვლაპარაკობდიო. ,,ხახანაშვილის აზრით,—სწერს იგი,—პიროვნულ შემოქმედებაში ხალხისაგან ნასესხი სიუჟეტი არ იცვლება, ჩემის აზრით კი სრულიათ იცვლება.'' ასე იცავს ბ. რობაქიძე თავის ორიგინალობას, მარა ამაოთ. აბა მოვუსმინოთ თვითონ ხახანაშვილს, თუ რას ამბობს იგი ამ საკითხის შესახებ:

,,პოეტმა ამ საერთო სქემას მისცა თვითშემოქმედებითი ნიჭით დრამატიული სისრულე და ფსიხოლოგიური სინამდვილე. ჩაუმატა ფატმანის და შერმადინის სახელები, უფრო მწყობრათ ააგო გმირების დამოკიდებულება, ავთანდილ, ტარიელ და ფრიდონ, ნათესაური კავშირით განაცალკევა და შეაერთა თანხმობითი ინტერესით და მეგობრული სიყვარულით. უფრო ღრმათ ჩაიხედა კაცის გულში და იქიდან ამოზიდა თვით ცნობიერების მარგალიტი. სახალხო მოთხრობის საერთოვნობო, ნაციონალური მოტივის სალიტერატურო ქმნილებათ გარდაქცევა ამაღლებს ჩვენს თვალში შოთა რუსთაველს''.. (გვ. 371—2, იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია მე 18 საუკუნემდე). როგორც მკითხველი თვითონ ხედავს, ხახ ნაშვილის აზრითაც ნასესხი სიუჟეტიც შესამჩნევათ იცვლება და სხვა მხარეებიც. ასე რომ ბ. რობაქიძე ხახანაშვილის ნამდვილ აზრს თვითონ ითვისებს, მას კი წინააღმდეგს აწერს სრულიად უსაბუთოთ. მარა ვთქვათ, რომ მან შესწორება შეიტანა და გააღრმავა ხახანაშვილის თეორია. მაინც რა უფლება ქონდა ეს ფაქტი დაემალა მსმენელთათვის? განა ჩვენი სინდისიერი მკვლევარი, სხვის თეორიას, თუნდა მისგან შესწორებულს თავის საკუთრებათ გამოაცხადებს? რასაკვირველია, არა. ეს მხოლოდ რობაქიძის ხელობა ყოფილა.

ახლა გადავიდეთ ვაჟა-ფშაველას ,,გველის მჭამელზე''. პირველ ყოვლისა, როგორც რობაქიძის, ისე მკითხველის წინაშე ცოტა რამეში ბოდიში უნდა მოვიხადო: ჩვენს რეცენზიაში (,,ჩვ. ცხ.'' № 1) ვსწერდით, რომ ეს პოემა ბ. გომართელმა ,,კვალში'' გაარჩიათქო. სამწუხაროთ, აქ ჩვენთვის მეხსიერებას უღალატია, გომართელს ,,კვალში'' მარტო გაკვრით აქვს ეს ნაწარმოები ნახსენები, ხოლო გარჩეული აქვს 1910 წლის პირველ იანვრის ,,სხივში'' (№ 4). იმედია, ამ უნებლიე შეცდომას გვაპატიებს ბ. რობაქიძე. თან ერთი რამეც აქვე უნდა განვაცხადო. როგორც ვიცით ბ. რობაქიძე თავის ლექციებს არ ბეჭდავს და მით მოწინააღმდეგეს საშვალება ერთმევა სწორი ციტატები მოიყვანოს, თვითონ რობაქიძე კი ამ მხრივ უზრუნველყოფილია. რომ მეც ეს არ მომივიდეს და რობაქიძე ვერცხლის წყალივით ხელიდან არ გამისხლტეს, ნებას ვაძლევ ჩემს თავს დავემყარო იმ ფურცელ ნახევარ სტატიის სვეტს, რომელიც ბ. რობაქიძემ მოათავსა ვაჟას შესახებ ,,Русская мысль''-ის გასული წლის მერვე ნომერში (იხილე ამ ჟურნალის მესამე განყოფილების 25—6—7—8 გვ., სადაც ის სტატიაა მოთავსებული, რომელმაც, რობაქიძის სიტყვით, რუსების მწერლების ყურადღება მიიქცია!) ამის საბუთს მაძლევს მით უმეტეს ის გარემოება, რომ ბ. რობაქიძემ ამ სტატიის აზრები სავსებით გაატარა თავის ლექციაში.

ვაჟა-ფშაველას გომართელი პანთეისტად, ბუნების გამაპიროვნელათ თვლის და მისი ,,გველის მჭამელზე'' ამბობს: ,,მთელი სამყარო ,,გველის მჭამელში'' უნივერსალური, უკვდავი სამარადისო სულის განსხიერებაა. მკვდარი, უსულო არაფერი არ არსებობს. ხე, ბალახი, ქვა, კლდე, წყალი—ყველა ცხოველი ქმნილებაა, ყველა აზროვნებს, ყველა ფიქრობს. მინდიას ყვავილები, ბალახი ემუსაიფება, მინდიას ესმის ის ტირილი, მისი გულის ტკივილი, მინდიას ეყურება ჩიტების ენა''... ,,სანამ მინდია გრძნობდა თავს მსოფლიოს სულის ნაწილათ, მისი ცოდნა, მისი გონიერება, მისი ძალა უსაზღვრო იყო. მაგრამ მინდიამ უღალატა თავის რწმენას, მან შესწყვიტა კავშირი მსოფლიო სულთან, და ერთბაშათ დაჰკარგა ცოდნაც, ძალაც. („სხივი'' 4 №).

აი ეს დასტამბა გომართელმა 1910 წ. დასახელებულ ჟურნალში, შემდეგ გადის წელიწადი და რვათვე და ბ. რობაქიძე „რუს. მისლში" ათავსებს მოკლე სტატიას, რომლიდანაც ჩვენ ციტატებს ამოვიღებთ ჩვენი ნათქვამის დასამტკიცებლათ. ,,ყოველ არსს აქვს თავისი ენა, ადამიანს ადამიანური,—ამბობს აქ რობაქიძე,—მინდიასაც ესმის თითეულის სიტყვა, იგი ლაპარაკობს მთელი ქვეყნის ენით. ის გულთმისანია და სწვდება ქვეყნიურ ქმნილების ყოველგვარ საიდუმლოებას... ის ყველაფერს სწვდება: ფოთოლთა შრიალსაც, ტყეთა დუმილსაც, მინდორთა ფიქრსაც, ნაკადულის ჩუსხუხსაც. მისთვის უსიტყვო არრა არსებობს, ყველაფერს თავისი ენა აქვს... ის მიდის მინდვრათ და ამწვანებულ ველებთან ერთად გრძნობს ზრდას ბალახის, გაფურჩქვნას ყვავილისას.. მას უყვარს ქვეყანა, ქვეყანას უყვარს იგი''... „მაგრამ ის იძულებულია თავის რწმენის წინააღმდეგ წავიდეს და მის საყვარელ ბუნებას ნაჯახი დაარტყას .„და რა ხდება!" კითხულობს რობაქიძე—და თვითონვე უპასუხებს:

„მინდია ამის შემდეგ არა გრძნობს სხვის ტკივილს, მაგრამ ბუნების ენაც ერთმევა; ეკარგება ქვეყნის საიდუმლოების შეგნების ნიჭი'' და ამ ნაირათ უბედურდება, ბოლოს თავსაც იკლავს. ერთის სიტყვით შესწყვიტა კავშირი ბუნებასთან და მისი სიცოცხლეც მოისპო. ესეთია ბ. რობაქიძის აზრი. მიუდგომელი მკითხველი დაგვეთანხმება—გომართელისა და რობაქიძის აზრებს შორის არავითარი თვალსაჩინო განსხვავება არ არის. განა?! ორივე ერთსა და იმავეს არ ამბობენ, ოღონდ ცოტათი სხვა და სხვა ენით!

ასე იმართლებს ბ. რობაქიძე თავს. თუ რა ფასი აქვს ასეთ თავის მართვებლებას— ეს მკითხველისთვის მიგვინდვია.

**ვინ—ხანაანი.**

P. S. ვესელოვსკის სტატია ამ ხელათ ხელთ არ გვაქვს. ამიტომ მასზე შემდეგ მივცემთ პასუხს ბ. რობაქიძეს.

ვ. ხ.

---

დავს, რომ უკანასკნელთა მოქმედება პირდაპირ ეხება მის ჯიბეს, მის ოჯახს, მთელ მის მდგომარეობას. ამის დანახვისათვის საჭიროა მეტი პოლიტიკური მომწიფება, მეტი კულტურა, მეტი ევროპიელობა...

ავიღოთ, მაგ., ეკლესია. ერთი შეხედვით მის ასე თუ ისე წარმართვას მჭიდრო კავშირი არ აქვს თანამედროვე მოქალაქეობასთან. მარა ეს ერთი შეხედვით, და ისიც ზერელეთ, ნამდვილათ კი კავშირი დიდია. მართალია რელიგია სინიდისის საქმეა, ის როგორც ადამიანის შინაგანი რწმენა, საზოგადოებას არ ეხება, ეს კერძო საქმეა. მარა, როგორც კი ის ამ რწმენის გამოჩვენებას იწყებს, როგორც კი რელიგია გარეგან მოწესრიგებას მოითხოვს—აქ დგება საზოგადოება და ამბობს: არა, ეს კერძო საქმე აღარ არის, ეს საზოგადო საქმეაო. ამიტომ ეკლესია საზოგადო დაწესებულებაა, მორწმუნეთა თავყრილობაა, რომლის სვე-ბედში დაინტერესებულია დემოკრატია. ვის ხელშია ეს დაწესებულება, ვინ მართავს მას, ვინ იყენებს თავის სასარგებლოთ— ეს საყურადღებო კითხვებია. ვის ხელშიაც ის არის—ის დიდი იარაღითაა აღჭურვილი; როცა თხოულობენ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოშორებას— ამით თხოულობენ სახელმწიფოსათვის ამ დიდი იარაღის წართმევას; როცა თხოულობენ ეკლესიის ბატონ-პატრონათ მორწმუნეთა გამოცხადებას—ამით თხოულობენ ეკლესიის თავისუფლებას და დემოკრატიზაციას. აი რისთვის მოვითხოვთ—მორწმუნეთ ნება მიეცეს იქონიონ ეკლესია, როგორც მათ სურთ. ყოველივე ძალდატანება ამ სფერაში, დევნა როგორც ენის, ისე მართვა-გამგეობის მხრით—ბადებს ნაციონალურ შუღლს და განხეთქილებას, რაიცა ხშირათ თავდება პოგრომებითაც. ამ მხრით არც ერთი ეკლესია ისეთ დაბეჩავებულ მდგომარეობაში არ იმყოფება, როგორშიაცაა ქართული. გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ სამოქალაქო უწყებას ჩვენში არ გამოუჩენია იმდენი რუსიფიკატორობა, რამდენიც გამოიჩინა სასულიერო უწყებამ. საკმარისია მოვიგონოთ ეგზარხოსი ფეოფილაქტეს საქმეები (1819 წ.) მისი ომი ქართულ ეკლესიასთან და მის მიერ გამოწვეული აჯანყება იმერეთში. და როცა ახლანდელ ამბებს ვხედავ, აშკარათ ხდება, რომ ფეოფილაქტეს სული, მისი პოლიტიკა ახლაც მეფობს და ვითარდება. მარტო ეს რასა გავს, ყველას ნება აქვს ილოცოს თავის ენაზე, სომეხს, თათარს, პოლონელს და სხ., ქართველს კი—არა. მარტო დიდუბის ეკლესიის ამბავიც საკმარისია მთელი საეკლესიო პოლიტიკის გამოსააშკარავებლათ. წირვა-ლოცვა, ისე როგორც სწავლება, შეერთებულია სამშობლო ენასთან. როგორც შკოლა, ისე ეკლესია უნდა იყოს აგებული ნაციონალურ ნიადაგზე. განსხვავება იმაშია, რომ შკოლა, როგორც საყოველთაოთ სავალდებულო, უნდა ინახებოდეს საზოგადოების და სახელმწიფო ხარჯებით, ხოლო ეკლესია, როგორც ყველასათვის არა-სავალდებულო დაწესებულება, უნდა ინახებოდეს ეკლესიის მსურველთა ხარჯზე. ე. ი. ეკლესია მორწმუნეთა საზოგადოებაა, ხოლო შკოლა კი როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა დაწესებულებაა. ამიტომ თხოულობენ შკოლიდან საღვთო რჯულის სწავლების გამოდევნას.

ყოველ შემთხვევაში, რაკი ეკლესია არსებობს, ის შევიწროებას და დევნას აღარ უნდა განიცდიდეს. წინეთ ქართულ ეკლესიას დევნიდენ ქონების ნიადაგზე, ჩამოართვეს მთელი უძრავი და მოძრავი ქონება, ახლა კი ის იდევნება ენის ნიადაგზე. გაბატონებული მართლმადიდებელი ნაციონალიზმი ამით ნათლათ ამტკიცებს, რომ ის მფარველობს არა მართლმადიდებლობას, არამედ ბიუროკრატიას და მემამულეთა ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს. ეს ისე აშკარათ ყვეს დუმაში ჩვენმა დეპუტატებმა, რომ მოწინააღმდეგეთ ენა პირში ჩაუვარდათ. ყველა ერის ნაციონალიზმი იძულებულია რაღაც პირბადე აიფაროს და თავისი დუხჭირი სახე დამალოს. ამით მას გულუბრყვილონი შეცდომაში შეყავს, ხოლო გაგებულნი მას ამ პირბადეს აცლიან და სიდუხჭირეს უაშკარავებენ...

როგორც ხედავთ, ჩვენი წინანდელი ნაციონალური ზოგადი მოთხოვნილებანი დღეს ხორცს ისხამენ და პრაქტიკული პოლიტიკის დედა-ძარღვათ ხდებიან. ეს პოლიტიკა ვერ იქნება განკერძოებული მთელი ჩვენი პოლიტიკური მიდრეკილებისაგან. ის მხოლოდ ამის ნაწილია და მასთან მჭიდროთ შეკავშირებულია. მისი განხორციელება შეუძლებელია დემოკრატიულ მოთხოვნილებათა განხორციელების გარეშე. ამიტომ ვინც ჩვენ ნაციონალურ დებულებას მიიღებს, მან უნდა მიიღოს მთელი ჩვენი დემოკრატიული დებულებაც. ეს კიდევ არ კმარა, მან უნდა მიიღოს აგრეთვე ჩვენი ტაქტიკაც. მხოლოდ ნაციონალისტების ნიშნობლივი თვისებაა თავის ნაციონალურ მოთხოვნილებათ დაუმორჩილონ საერთო პოლიტიკური მოთხოვნილებანი და წარა-მარათ, განურჩევლათ დროსა და გარემოებისა, გამოაფინონ თავისი კერძო დროშა. ჩვენი ტაქტიკა ამის წინააღმდეგია. ნაციონალური კითხვა ერთი რგოლია მთელი კითხვის და იჭრება მასთან ერთათ. ეს არ ნიშნავს მთელი კითხვის ერთათ, ერთი დაკვრით უეჭველათ გადაჭრას, არა, ის შეიძლება ნაწილ-ნაწილათ გადაიჭრეს, მხოლოდ ჩვენ ვამბობთ-ამ ნაწილებშიაც ერთიმეორეზეა გადახლართულ კერძო და საერთო, ნაციონალური და საზოგადო პოლიტიკური. ჩვენი დეპუტატების ტაქტიკა ერთიანათ ეთანხმებოდა ამ ძირითად დებულებას და ის გაგძელებულ უნდა იქნას მეოთხე დუმაში.....

ნ.

# რუსეთი.

(გაზეთებიდან).

**სიტყვის თავისუფლება.** გენერ. დუმბაძის მოქმედებათა შესახებ წერილის დასტამბვის გამო გაზეთი „ოდესსკია ნოვოსტი" დააჯარიმეს სამასი მანეთით.

— მოსკოვში სამოსამართლო პალატამ განაჩენის გამოტანამდე შეაჩერა გაზეთ ,,ნოვაია ზემლია''-ს გამოცემა.

— ადესის ქალაქის გამგეობამ დაადგინა—სამართალში მისცეს ყველა ის ადგილობრივი გაზეთები, რომელთაც ქალაქის ხმოსანთ ბელგიის საზოგადოების მიერ მოსყიდულნი უწოდეს; ამ საზოგადოებას ქალაქისათვის ელექტრონის განათება უნდა მიეცა.

**გაფიცვები.** რეველში ვიგანდის მექანიკურ ქარხანაში გაფიცვა დასრულდა მუშების სრული გამარჯვებით. ლიუტერის ქარხანაში გაფიცვა ჯერ კიდევ გძელდება.

— სამიდან ცხრა ივლისამდე პეტერბურგში მოხდა შვიდი გაფიცვა, მოსკოვში—ორი.

**მუშათა დაზღვევა.** ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა წინადადებით მიმართა საქარხნო ინსპექტორებს, რომ შესაფერათ გაატარონ ცხოვრებაში ახალი კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ.

# უცხოეთი.

(გაზეთებიდან)

ოსმალეთი.

ოსმალეთის მდგომარეობა, როგორც დეპეშებიდან ვიცით, ისევ უნუგეშოა; ახალ-გაზრდა ოსმალთა რეჟიმს ისევ განსაცდელის დღეები უდგას. შემცდარი არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ მთელი სახელმწიფოს ბატონ-პატრონი დღეს ამხედრებული ჯარებია. აჯანყებული აფიცრობა მთავრობას ულტიმატუმებს უყენებს და თავის ნებაზე ამოქმედებს. ეს არც უჩვეულოა მათთვის. აკი ჰსეტრიანობის შედეგი იყო ამ რამოდენიმე წლის უკან აბდულ-ჰამიდის რეჟიმის დაცემა; ხალხს; ფართო მასას აქტიური მონაწილეობა არ მიუღია ამ სახელმწიფოებრივ გადატრიალებაში, თუმც, რასაკვირველია, სულით და გულით თანამგრძნობი იყო. მარა ვინ არ იცის, რომ გათილი სურვილი და ბრძოლის გეზზე მოქმედება სულ სხვაა. ოსმალეთის ხალხი მაშინაც შორიდან უყურებდა სახელმწიფოს ბედს და ეხლაც ასეა. ამავე მდგომარეობაშია თითქმის თვით პარლამენტიც, რომლის ნდობა აფიცერთა მოთხოვნილების წინაშე უშინაარსო რამეთ იქცა და სამინისტრო იძულებულ იქნა გადამდგარიყო. მარა საქმე ამით მარტო არ გათავდა, დამის ტახტი კი შეერყა სულთანს, რომელმაც უკიდურეს საშვალებას მიმართა და განსაკუთრებულის დეკლარაციით დაგმო აჯანყებულ ჯარების საქციელი. მარა მათ მოთხოვნილებას მაინც ყური ათხოვა და აჯანყებულ ალბანელების დასამშვიდებლათ ცალკე კომისია გაგზავნა. თავიდანვე უკუღმართი პოლიტიკისმაწარმოებელი ახალგაზრდა ოსმალები ალბანეთს ძველებურათ სისხლში ახრჩობას უპირებდენ, მარა ანგარიში გაუცრუვდათ, ალბანელებმა ყველგან გაიმარჯვეს, მთავრობის ჯარებს თითქმის ყველგან ამარცხებდენ; და თანაც აჯანყებულ ჯარების სიმპატიაც მოიპოვეს და მთავრობაც იძულებული შეიქნა დათმობის გზას დადგომოდა. კრიზისი, რასაკვირველია, ჯერ გათავებულათ არ ჩაითვლება. ოსმალეთს ჯერ კიდევ ბევრ უბედურობასთან მოუხდება გამკლავება, მარა ალბანეთი თუ დააწყნარა, ესეც დიდი ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს დაწყნარებისაკენ და განკურნებისაკენ გადადგმული.

## წერილი ფოთიდან.

ჩვენ გვსურს ამ წერილში სრულიად მიუდგომლათ შევეხოთ იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხთა მუშათა ერთ დარგში აქ,—რკინის გზის მუშათა არტელში. მაგრამ სანამ ამას შევუდგებოდეთ, ზედმეტი არ იქნება—მკითხველის ხსოვნაში სხარტათ მაინც აღვადგინოთ ხსენებული არტელის დაარსებისა, და მისი ევოლიუციისა.

1906 წელს, 17 ივლისს პირველათ ჩაეყარა საფუძველი აქ საქონლის დამტვირთავ-გადმომტვირთავ, ანუ, როგორც აქ ეძახიან, რკინის გზის მუშათა არტელს, სულ არტელში 150 კაცი შედიოდა, რომლებშიც დაარსების დროს 15—20 სომეხი და თათარი იყო. არტელის რკინის გზის სამართველოში შექონდათ „ზალოგი" 5000 მ. და მას განაგებდა არტელის მიერ არჩეული ოთხი კაცი, რომელიც იმდენსვე ღებულობდა ხელფასს, რამდენსაც უბრალო მუშა. იმ ხანებში ვაგონის გალლა-დატვირთვა ღირდა 3 მ. 20 კ. სამუშაო დღე გრძელდება დილის 7 საათიდან საღამოს 5 საათამდი, 2 საათის სასადილო „შაბაშის" გამოკლებით. იმ ხანებში მუშა საშვალო რიცხვით ღებულობდა თვეში 30—32 მან. რადგან ხშირი იყო იმ ხანებში საქონლის გაფუჭება—დაკარგვა, ამიტომ რკინის გზა უჭერდა მუშათა არტელს „ზალოგს" და როცა ის ვერ აკმაყოფილებდა „პრეტენზიებს", მუშების ხელფასიდან ინაზღაურებდა რკინის გზა დანაკლისს.

ხსენებული არტელი თავიდანვე ვერ იყო მაინც და მაინც მომზადილი და მასში ხშირად პოულობდა განხორციელებას სამრევლო პატრიოტიზმი, ანუ ეგრეწოდებული „კუთხიზმი". გურულ-მეგრელთა შორის განხეთქილება ხშირად საშიშ ფორმებს ღებულობდა ხოლმე, მაგრამ როს შინაური ომი დროებით დაცხრებოდა, ხსენებული არტელიც ცდილობდა გვერდში სდგომოდა და არ ჩამორჩენოდა სხვა მის თანამოძმე მუშათა დარგებს. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილების გაყიდვა, ამ არტელის, როგორც სხვა არტელების, თანდაყოლილი სენი გამოდგა და „კურტნის" ფასი ხშირათ 60 მ. 300 მ. ადიოდა და თითქმის დღემდისაც არ მოშპარა. „ადგილის" თავის კერძო საკუთრებათ გამოცხადება, „კურტნის" გაყიდვა, ეს შეუგნებელ არტელის მუშის ფსიხოლოგიური ატრიბუტია, ეს წვრილი მესაკუთრის მრწამსია; ასეთ შეხედულების გამაგრებას ხელს უწყობს თვით ჩვენებური არტელური წყობილება, რაიც ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავს ჩვენი გაზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა


**სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შ-ბის სავაჭრო სახლი**

ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მიღებულია რკინის კოჭები (двутавровыя балки).

ალიბასტრი ბამუტის საუკეთესო ხარისხის, ცემენტი პორტლანდის და იყიდება ზომიერ ფასებში.

# ? დაგვით ქებაძე ?

მკითხველების საყურადღებოთ

## სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.

დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების

**პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ** აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, **ფასები შესამჩნევად დაკლებულია.**


თის ფურცლებზე და ამიტომ აქ ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ. ჩვენ ვსთქვით, რომ არტელს ყავდა ოთხი კაცი არჩეული, რომელიც იმდენსავე ღებულობდა, რამდენსაც სხვა არტელის წევრი. მაგრამ 1907 წელს ერთმა მათგანმა მოსთხოვა არტელს 20 მანეთით გაედიდებიათ მისთვის ჯამაგირი, რადგან მისი სიტყვით მას ეხდებოდა სხვადასხვა „ხარჯების გაწევა“. არტელმა მისი განცხადება მიიღო და ამ რიგათ ერთ მოწესრიგეთაგანს, აწ განსვენებულ ე. ჯიბლაძეს მოემატა 20 მ. თვეში. მოწესრიგენი თვეობით ირჩეოდენ. ასეთ პირობებში არსებობდა არტელი 1908 წ. შუამდი. შემდეგ ამისა კი არტელმა მოწესრიგენი მუდმივი აირჩია: პირველად სიმონ სიხარულიძე, ხოლო შემდეგ ბ. ჯოჯუა და მ. ბერძენიშვილი. არტელის საჭიროებისთვის „ხარჯების“ გაღებამ თანდათან იმატა და არტელმა „სტარშებს“ მოუმატა ჯამაგირი, ე. ი. ერთი მუშის თვიური ჯამაგირი და გადაჭრით კიდევ 60 მანეთი თვეში. 1908 წელში ვაგონების გაცლა-დატვირთვის ხელფასი 3 მ. 20 კ.-დან 4 მანეთზე ავიდა. ამის ისტორია მოკლეთ ასეთია: როცა რკინის გზის ადმინისტრაცია ვაგონის გაცლა-დატვირთვაში 3 მ. 20 კაპ. აძლევდა არტელს, თან „ზალოგს“ უჭერდა „პრეტენზიების“ სახით, არტელი უკმაყოფილებას აცხადებდა, რადგან რკინის გზის ადმინისტრაციისთვის ბევრი უნდა ეზლო. ამის გამო რკინის გზის ადმინისტრაციის წინაშე აღძრულ იქნა შუამდგომლობა ადგილობრივ სადგურის უფროსის შემწეობით და 1908 წლიდან რკინის გზის სამართველომ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა, გააუქმა „ზალოგი“ და ვაგონის ფასი 4 მ. გახ. და არტელის „საჭიროებისთვის“ ხარჯები ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. არტელში გამეფებულმა წესებმა ხელი შეუწყო შეუგნებელ მუშებს მასავით დაბეჩავებულ მუშებზე მალულათ გაელაშქრათ და თავის მხრივ დაეჩაგრათ ისინი. არ შეგვიძლია მწუხარებით არ აღვნიშნოთ ის მეტად მახინჯი მოვლენა, რომელიც ხშირად სომხებისა და თათრების გაყვლეფაში გამოიხატება (როგორც მაგალითად ხელფასის დაკლება მათთვის და უფრო მძიმე ტვირთის კისრება). სიმწუხრით უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშათა უმრავლესობა ასეთ სიმახინჯეს და უკუღმართ მოვლენას ნაკლებათ ებრძოდა და ხშირად, ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობდა.

ასეთ პირობებში სცხოვრობდა ხსენებული არტელი აქამდი; ვაგონის გაცლა-დატვირთვაში ის 4 მანეთს ღებულობდა, მას კიდევ დარაჯების ქირათ თვიურათ 375 მანეთს აძლევდენ. ასე რომ საერთოთ მუშაზე 40—45 მანეთი გამოდიოდა თვეში, რაიც ბევრ აქაურ გადამწონავს და „კანტორშჩიკებს“ ძილს უფრთხობდა. და ისინი კარგი ხანია მოწადინებული იყვენ „გამოსარჩენი“ მაინც რგებოდათ, ამასთან საყურადღებოა ერთი გარემოება. ადგილობრივი რკინის გზის მოსამსახურენი 1903-4 წლამდი ღებულობდენ ეგრეწოდებულ პრემიებს. იმ დროს მუშათა არტელი არ არსებობდა და მოიჯარადრეს ვაგონის გაცლა-დატვირთვა 1 მ. 80 კ. ქონდა აღებული. შემდეგ, როცა რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო ეს „პრემია“ მოისპო, „პრემიის“ მოსპობას ისინი მუშათა არტელის დაარსებას აბრალებენ.

ასეა თუ ისე, ამ გარემოებამ სხვა აღნიშნულ მიზეზებთან ერთად მოამზადა ის „რეფორმა“, რომელმაც ამდენი აურზაური გამოიწვია და რომლის მომხრენი საშუალო რკინის გზის მოსამსახურენია. რაში გამოიხატა ეს „რეფორმა“ და სანამდი მიიყვანა მან არტელი, ამაზე შემდეგ წერილში.

ვალია.

## დაბა-სოფელი.

**სოფ. რუისი**—(ქართლი) 29 თიბათვეს მოხდა რუისის შემნახველ-გამსესხებელი კასის წევრთა მოულოდნელი კრება, კურსების თავმჯდომარის ამორჩევამდი კასის გამგეობის თავმჯდომარე ლადო გულისაშვილმა განმარტა კრების მოწვევის მიზეზი. საბჭოს თავმჯდომარე იასონ ფანიაშვილისა და საბჭოს წევრის სიკო მამესწარაშვილის მაგიერები უნდა ამოირჩიოთ, რადგან პირველი თფილისიდან ვერ ახერხებს სიარულს და მეორე მოუცლელობის გამო ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. პირველად კასის დაარსება რომ განვიძრახეთ ძლივს მოვუყარეთ თავი ცამეტ კაცს, რომელთაც ჩავუკეტეთ კარი და აღარავინ გავუშვით, სანამ არ ამოვირჩიეთ მმართველობა; ახალი კი კასის წევრთა რიცხვი სამასამდი აღწევს, რასაც დაინახავთ ანგარიშიდან; მხოლოდ გთხოვთ საბჭოს თავმჯდომარეთ და წევრათ ამოირჩიოთ კეთილ-სიმედონი, რომ გამგეობას კრიჭაში ჩაუდგეს, ანგარიში მოსთხოვოს და ერთი კაპიკიც არაგის გააფლანგვინოს. შემდეგ ამისა კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პარმენ თოთიბაძე, რომელმაც თავმჯდომარის ადგილის დაკავებისათანავე მიმართა კრებას—ფეხზე ადგომით პატივი ეცათ აწ გარდაცვალებულ იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისათვის და მოკლეთ განუმარტა გოგებაშვილის მოღვაწეობა; კრებამაც ფეხზე ადგომით პატივი სცა.

შემდეგ ამისა წაკითხულ იქნა ანგარიში 18 იანვრიდან თიბათვის პირველამდი. ბანკს მიუცია გქელდგადიან სესხათ 2000 მან. და გადიან სესხათ 3000 მან, რაც შიგ გასესხებულია 260 მსესხებელზე. კასას გასესხებულ ფულიდან შემოსვლია სარგებელი 400 მანეთამდი და 300 მანეთამდი წილის ფული. კასას ხარჯი მოსვლია 400 მანეთამდი (რკინის დიდი კასა 180 მან; მოანგარიშეს თვეში 10 მან., სარგებელი ნასესხებ ფულში და სხვა.)

იას. ფანიაშვილმა წინადადება მისცა გამგეობას—მოანგარიშესათვის ეთხოვათ, რათა მას ეკმარა თვიურათ ხუთი მანათი, რახან უფასო ვერავინ ვიშოვეთ; რადგან საქმე ჯერ ახალია და არც ისეა ჯერ გაფართოვებული, რომ კვირაში ერთი დღის მეტი მუშაობა დასჭირდეს მოანგარიშეს.

მოანგარიშემ ნაკლებ ჯამაგირით მუშაობაზე უარი სთქვა და გამგეობამაც დაუსაბუთა კრებას, რომ უფასო მოანგარიშე ვერც რიგზე აწარმოებს და ვერც ვმოულობთო, რის შემდეგ კრება იძულებული იყო დაეტოვებინა მოანგარიშესთვის ჯამაგირი 10 მან. თვეში.

მღვდ. სადარიძემ სთხოვა გამგეობას, რომ წილის ფული მანათები კი არ დაუკავონ მსესხებელს, არამედ აბაზები, რადგან გაჭირვებულ გლეხკაცისათვის, რომელიც სესხულობს 10—20 მან. თავიდანვე მანეთების დატოვება ძნელება, ეს შენიშვნა გამგეობამ საყურადღებოთ იცნო და აღუთქვა უფრო ნაკლები წილის ფულის დაკავება. საბჭოს თავმჯდომარეთ ამორჩეულ იქნა მასწავლებელი პარმენ თოთიბაძე, საბჭოს წევრად სოფლის მუშა ლადო ბარამაშვილი. მიხა გურასპაშვილი შეეკითხა გამგეობას: მსესხებლისგან დიდს სიმაგრეს იჭერთ—ვექსილ—თავდებებით და გთხოვთ ამიხსნათ—გამგეობის წევრებისაგან რაღა სიმაგრე გვიჭირავს და როგორ უნდა ავინაზღაუროთ, რომ ფული გაფლანგოს. თუ ფული გაიფლანგა და საბჭოს წევრებმა ვერ აუწყეს მსესხებელთ, მაშინ პასუხის გებაში მიიცემიან, როგორც გამგეობის წევრნი, ისე საბჭოს წევრები და თუ საბჭომ დროზე აუწყა ფულის გაფლანგვა, მაშინ პასუხს აგებენ გამგეობის წევრნი—თავისი ქონებით ერთ-ერთის თავდებობით; საბჭოს გარდა ანგარიშებს სინჯავს სახელმწიფო ბანკიდან გამოგზავნილი რევიზორ-ინსპექტორი და თუ რამე სიყალბე შეამჩნიათ მართვა-ანგარიშებში, მაშინვე პასუხის გებაში მისცემენ ყველა მართველთ.

გამგეობის წევრებმა განო კალელაშვილმა და რაჟდენ გიგაშვილმა მოთხოვეს თავისს გასამრჯელოთ ჯამაგირები. გამგეობის თავმჯდომარემ ლადო გულისაშვილმა-კი უარი განაცხადა გასამრჯელოზე. კრებამ მათ ჯამაგირებზე უარი უთხრა; მხოლოდ აღუთქვა, მოგებიდან წილის მიცემა, თუ წლის ბოლოს თვალ-საჩინო მოგება რამე დარჩა კასას.

ეს კრება საყურადღებო იყო იმით, რომ კამათში მეტ მონაწილეობას იღებდენ სოფლელი გლეხები.

ლადო გულისაშვილმა მისცა წინადადება კრებას საამხანაგო პურის მაღაზიის და სავაჭრო დუქნის დაარსებაზე. პურის მაღაზიის წევრს ეკისრება ათი ფუთი პური და სავაჭროს მონაწილეს კი ხუთი მანეთი კრებამ წილის ფული დიდათ ჩასთვალა და დაავალა კასის გამგეებს, შემდეგისათვის წარმოუდგინონ კრებას უკვე შედგენილი წესდება.

თერგდალეული ია...


რედაქტორ-გამომცემელი

ა. სულაქველიძე.


## ქუთაისის ბაზარი.

ფუთი სიმიდის ფქვილი ღირს მანეთი და ორი შაური—ექვსი აბაზი.

ფ. სიმიდი—თუთხმეტი შაური—ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ფ. ლობიო—შვიდი აბაზი, ჭყინტი ლობიო ათი შაური.

ფ. კომბოსტო—აბაზი.

ფ. ქართოფილი—7 შაური—ორი აბაზი

ფ. ახალი ხახვი—ოთხი აბაზიდან მანეთამდე.

გირვანქა ერბო (კარაქი)—ოცდა თვრამეტი კაპიკი—ორი აბაზი

ყველი ორ გირვანქა ნახევარი (ჩარექი)—ორი აბაზი.

ყველი გირვანქა—აბაზი.

გადაზელილი ყველი (სულგუნი) წყვილი—ხუთი შაური—ექვსი.

პური ფურნისა პირველი ხარისხის—საში გირვანქა—ცამეტი კაპიკი, მეორე ხარისხის თორმეტი კაპიკი, მესამე ხარისხის ორი შაური.

თორნის პური პირველი ხარისხის სამი გირვანქა თოთხმეტი კაპ. მეორე ხარისხის 13 კაპ.

ხორცი—ძროხისა ცამეტი კაპ.—თერთმეტი კაპ. (ადგილობრივი)

ხორცი—ცხვრისა ცამეტი კაპ.

ხორცი—კამეჩისა რვა კაპ.

ქათამი—ათი შაური—ოთხი აბაზი.

ვარია—აბაზი—ექვსი შაური.

შეშა—ურემი შვიდი აბაზიდან—ცამეტამდი.

ღვინო ადგილობრივი ფუთი—თორმეტ აბაზიდან—თექვსმეტამდი.

კიტრი—ასი ათ შაურათ, არჩეული თოთხმეტ შაურათ—რვა-ათი—შაურათ.

სხალი—ფუთი ორი აბაზი—ათი შაური.

თხილი— „ რვა აბაზი დაურჩეველი, თორმეტი აბაზი დარჩეული კაკალი.

პამიდორი ფუთი—ექვსი—შვიდი აბაზი.

თევზი რიონის გირვ. შვიდი შაური

ეტლი ერთი გზა ქალაქში ხუთი შაური, სადგურამდე შვიდი შაური. სადგურიდან ცხრა შაური.

### მუშა ხელი.

მიწის მუშა დღეში თავის ხარჯით—ოთხი აბაზი—მანეთი.

დურგალი ექვსი აბაზი—რვა აბაზი.

კალატოზი, რვა აბაზი—ცხრა აბაზი.

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33, 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. სად., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.


ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია

## ძმათა ლოლონტებისა

ქალაქ ფოთში (კ. რუხაძის გვერდით).

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ფოთისა და მახლობელ რაიონების საზოგადოებას, რომ ჩვენ სავაჭროში მიღებულია და ვღებულობთ ყოველ დღე დიდძალ შემდეგ საქონლს: ჭურჭლეულობა ფაიფურისა, ფაიანსისსა, ბროლისა, სპილენძისა, ემალისა, ალიუმინისა, ნიკელისა, თუჯისა და სხვა. ყოველგვარი მუზიკალური იარაღები, საპარიკმახერო ნივთები, სამოვრები, კლიონკები, სხვადასხვა ნაირი სახრაკავი მანქანები, ლამპები ყოველგვარი გაზით მახურებელი სისტემის „T-BO CBѢТЪ“. მაღაზიებისათვის, კანტორებისათვის და რესტორანებისათვის ვიძლევით სრული გარანტიით. აგრეთვე მიღებულია დიდძალი მელხიორის ნივთები, გვირგვინები, საკერავი მანქანები საუკეთესო სისტემის, ყოველგვარი სკამები, კრაოტები, მარმარილოს პირის საბანები, სარკეები და ყოველგვარი ავეჯეულობა, სრული მორთულობა სახლებისა, სასტუმროებისა და სხვადასხვა დაწესებულებისათვის.

ფასები დანიშნულია ზედ მიწევნით დაკლებული,

რაშიაც დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება თუ ერთჯერ მაინც კი შემობრძანდება ჩვენს სავაჭროში. პატივისცემით **ალექსანდრე და ლევან ლოლონტები.**

## „ჯეჯილი“

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი. **ოცდა მესამე წელიწადი.** მიიღება ხელისმოწ. რა 1912 წლისათვის. გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა. პატარაებისათვის და მოზრდილთათვის. **ჟურნალი „ჯეჯილი“** თფილისში ეღირება 4 მანეთი, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მანეთი. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი აბაზი. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ მიმართონ: **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძეს, **ბაქოში** ქ. მართა კვიტაიშვილს, **მიხაილოვში**—ვლად. ჩიქოვანს, **გორში**—კნ. თამარა თარხნიშვილს, **სამტრედიაში**—რაჟ. ნანეიშვილს, **თელავში**—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს, **სიღნაღში**—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს, **ჭიათურაში**—ქ. ჯაფარიძეს და ნიკო წუწუნავას, **ბათუმში**—მიხეილ კალანდაძეს.

რედ. -გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან

**გაიხსნა საზაფხულოთ**

**მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის**

ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის

## წყლიანი სავაჭრო

სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის

**ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა.** მ—1—4.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში